

იურიდიული ფაკულტეტი

ინტერდისციპლინური სასერტიფიკაციო პროგრამა

”მედია და სატელეკომუნიკაციო სამართალი”

სასერტიფიკაციო პროგრამის სახელწოდება: მედია და სატელეკომუნიკაციო სამართალი

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი კახი ყურაშვილი

კრედიტების ოდენობა: 25 სასწავლო კრედიტი.

პროგრამის რეალიზაციის მიზანი და აღწერილობა:

სასერტიფიკაციო პროგრამის მიზანია მედიისა და ელექტრონული კომუნიკაციების, მათ შორის ინტერნეტის სამართლებრივი რეგულირებისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტების თაობაზე კომპლექსური და ინტერდისციპლინური ცოდნის მიწოდება და მედიასამართალსა და საკომუნიკაციო სამართალში პრაქტიკული მუშაობისათვის სპეციალისტების მომზადება.

პროგრამა მოიცავს ისეთი აქტუალური თემების შესწავლას, როგორცაა:

- სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპის რეალიზაციის სამართლებრივი საფუძვლები,
- მაუწყებელთა ეთიკური ქცევის წესები და სამაუწყებლო სტანდარტები,
- მომხარებელთა უფლებების დაცვა და საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმები,
- საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა ინტერნეტსა და სამაუწყებლო სივრეში,
- ინფორმაციული თავისუფლების უზრუნველყოფა და სამართლებრივი დაცვა,
- სატელეკომუნიკაციო სივრცეში კონკურენციის რეგულირება და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სამართლებრივი პრევენციები,
- მედიასივრცეში რეკლამის რეგულირება,
- არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მექანიზმები,
- ლიცენზიათა გაცემის სააუქციონო, საკონკურსო და სხვა სამართლებრივი მექანიზმები და ადმინისტრაციულ წარმოებათა თავისებურებები,
- მაუწყებლობისა და კომუნიკაციების მარეგულირებელი დამოუკიდებელი ეროვნული ორგანოს - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სტატუსი და ფუნქციები,
- ლიცენზიის მფლობელთა შორის, ავტორიზებულ პირთა შორის, ლიცენზიანთ (ავტორიზებულ) პირთა და მომხმარებელთა შორის დავათა განხილვისა და გადაწყვეტის სამართლებრივი ფორმები,

- ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის სტატუსი, ფუნქციები და სახელმძღვანელო რეკომენდაციები,
- ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის საერთაშორისო ნორმები,
- პერსონალური მონაცემების ხელშეუხებლობის სამართლებრივი გარანტიები,
- ევროპის ჰარმონიზებული სატელეკომუნიკაციო სტანდარტები.

პროგრამა გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული პირისათვის, რომელიც საქმიანობს ან აპირებს საქმიანობის დაწყებას სამაუწყებლო ან საკომუნიკაციო სფეროში (არა მხოლოდ იურისტთათვის, არამედ ჟურნალისტებისათვის, სხვა დასაქმებული პირებისათვის). სასერტიფიკატო პროგრამა შეიძლება შეთავაზებულ იქნას სამაგისტრო პროგრამათა არჩევით მოდულად მთლიანად (როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის მიმართულებით). სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს შესაძლებელია მიეცეთ უფლება სასერტიფიკატო პროგრამიდან შეარჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსები. ამ შემთხვევაში სერტიფიკატი არ გაიცემა.

**შეფასების სისტემა:** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილი ფორმით.

**პროგრამის რეალიზაციის ვადა:** 1 სემესტრი (15 კვირა) *(დღეში სამი აქტიური საათი)*

**კრედიტების განაწილება და სასწავლო კურსები:**

№	დისციპლინის დასახელება	კრედიტის ოდენობა	აქტიური საათები	ლექტორები
1.	სიტყვისა და გამოხატვის უფლების კონსტიტუციური გარანტიები	2	1	ნ. ჭილაძე
2.	მედია სამართალი ("მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვა, ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ ევროპული კონვენცია, სხვა აქტები)	4	2	კ. ყურაშვილი
3.	სატელეკომუნიკაციო სამართალი	4	2	კ. ყურაშვილი
4.	ITU-ს სამართლებრივი სტატუსი და ITU-ს სახელმძღვანელო რეკომენდაციები	2	1	გ. ბუთბაია
5.	მომხარებელთა უფლებების დაცვა და საჩივრების განხილვა, დავების განხილვა და გადაწყვეტა	2	1	ი. ხარშილაძე
6.	კონკურენციის სამართალი, რეკლამის სამართლებრივი რეგულირება მედიასა და საკომუნიკაციო სივრცეში	3	2	გ. ბუთბაია
7.	ლიცენზირებისა და ავტორიზაციის სამართლებრივი ფორმები და ადმინისტრაციული წარმოებები	3	3	მ. კოპალეიშვილი
8.	მაუწყებლობის და ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში	2	1	ა. მიქელაძე
9.	საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა მედიასა და ინტერნეტში	3	2	ს. ჯორბენაძე
სულ		25	15	

**პროგრამის დაძლევის შედეგი:** გაიცემა "მედია და საკომუნიკაციო სამართალში" სპეციალური კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი